

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №29
2015 წლის 16 ოქტომბერი

ქ. ბორჯომი

„ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №53 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 01.01.2015, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.139.016169) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზაზა ჩაჩანიძე

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. ბორჯომის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბორჯომის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	12.661.4	13.878.1	2.921.2	10.957.0	15.417.3	3.616.8	11.800.5
გადასახადები	4.186.8	2.921.8	0,0	2.921.8	3.959.1	0,0	3.959.1
გრანტები	4.870.8	3.095.4	2.921.2	174.2	3.806.8	3.616.8	190.0
სხვა შემოსავლები	3.603.8	7.861.0	0,0	7.861.0	7.559.3	0,0	7.557.3
ხარჯები	7.758.4	8.884.1	487.4	8.396.7	10.572.2	453.8	10.118.4
შრომის ანაზღაურება	1.706.0	1.912.9	0,0	1.912.9	1.639.9	0,0	1.639.9
საქონელი და მომსახურება	2.649.7	2.989.6	487.4	2.502.2	2.226.6	1.0	2.225.6



პროცენტი	66.0	55.4	0,0	55.4	43.3	0,0	43,3
სუბსიდიები	1.886.1	2.633.7	0,0	2.633.7	3.993.9	0,0	3.993.9
გრანტები	0.0	0,0	0,0	0,0	548.8	0	548.8
სოციალური უზრუნველყოფა	1.385.1	1.161.7	0,0	1.161.7	998.2	0,0	998.2
სხვა ხარჯები	65.4	130.8	0,0	130.8	1.121.5	452.8	668.7
საოპერაციო საღდო	4.903.0	4.994.0	2.433.8	2.560.2	4.753.0	3.163.0	1.590.1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4.730.8	5.261.2	2.925.0	2.336.1	5.818.1	3.357.8	2.460.3
ზრდა	4.852.7	5.417.2	2.925.0	2.492.2	5.910.2	3.357.8	2.552.4
კლება	122.0	156.1	0.0	156.1	92.1	0,0	92.1
მთლიანი საღდო	172.3	-267.1	-491.3	224.1	-1.065.0	-194.8	-870.2
ფინანსური აქტივების ცვლილება	87.7	-362.4	-491.3	128.9	-1.451.7	-194.8	-1.256.9
ზრდა	519.8	128.9	0,0	128.9	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	519.8	128.9		128.9	0,0	0,0	0.0
კლება	432.1	491.3	491.3	0,0	1.451.7	194.8	1.256.9
ვალდებულებების ცვლილება	-84.6	-95.2	0.0	-95.2	-386.6	0	-386.6
კლება	84.6	95.2	0.0	95.2	386.6	0	386.6
საშინაო	84.6	95.2	0.0	95.2	386.6	0	386.6
ბალანსი	0.0	0.0	0,0	0,0	0.0	0.00	0.00

მუხლი 2. ბორჯომის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
 ბორჯომის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს



ბორჯომის ბიუჯეტის შემოსულობები 15.417.3 ათ.ლარით, გადასახდელები 16.869.0 ათ.ლარით და ნაშთის ცვლილება -1.451.7 ათ. ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	12.783.3	14.034.2	2.921.2	11.113.0	15.417.3	3.616.8	11.800.5
შემოსავლები	12.661.4	13.878.1	2.921.2	10.957.0	15.325.2	3.616.8	11.708.4
არაფინანსური აქტივების კლება	122.0	156.1	0,0	156,1	92.1	0.0	92.1
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	12.695.6	14.396,6	3.412,4	10.984.1	16.869.0	3.811.6	13.057.4
ხარჯები	7.758.4	8.884.1	487.4	8.396.7	10.572.2	453.8	10.118.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	4.852.7	5.417.2	2.925.0	2.492.2	5.910.2	3.357.8	2.552.4
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	-362.4	-491.3	128.9	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	84.6	95.2	0,0	95.2	386.6	0.0	386.6
ნაშთის ცვლილება	87.7	-362.4	-491.3	128.9	-1.451.7	-194.8	-1.256.9

მუხლი 3. ბორჯომის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 15.325.2 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები



			გამოყოფილი ტრანსფერები			გამოყოფილი ტრანსფერები	
შემოსავლები	12.783.3	13. 878.1	2 .921.2	10. 957.0	15.325.2	3.616.8	11.708.4
გადასახადები	4.186.8	2. 921.8	0,0	2. 921.8	3.959.1	0.0	3.959.1
გრანტები	4.870.8	3. 095.4	2. 921.2	174.2	3.806.8	3.616.8	190.0
სხვა შემოსავლები	3.603.8	7. 860.989	0,0	7. 861.0	7.559.3	0.0	7.559.3

მუხლი 4. ბორჯომის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 3.959 .ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა
გადასახადები	4.186.8	2.921.8	3.959.1
ქონების გადასახადი	2.655.4	2.921.8	3.959.1
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1.033.6	1.257.3	2.264.1
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	82.0	415.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	184.2	179.1	30.0
სასოფლო-სამეურთეო დანიშნულების მიწაზე	207.1	124.5	100.0
არასასფლო-სამეურნეო მიწაზე	1.230.6	1.266.5	1.150.0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0.0	12.3	0.0
სხვა გადასახადები	1.531.4	0.0	0.0

მუხლი 5. ბორჯომის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 3.806.8 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა
გრანტები	4.870.8	3.286.9	3.806.8
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4.870.8	3.286.9	3.806.8
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	4.870.8	190.0	190.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	165.0	190.0	190.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	4.705.8	2 921,2	3.616.8



სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	3.609.5	2 493,2	2.687.9
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	419.8	427,9	428.9
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი	0.0	0.0	0
სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები		0.0	500,0
ბორჯომის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია	676.5	0.0	0.0

მუხლი 6. ბორჯომის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 7.559.3 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
სხვა შემოსავლები	3.603.8	7.606.0	7.559.2
შემოსავლები საკუთრებიდან	2.554.2	6.514.0	6.633.8
პროცენტები	298.4	300,0	200.0
დივიდენდები	0.0	0.0	0.0
რენტა	2.255.8	6.214.0	6.433.8
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	2.219.1	6.184.0	6.403.8
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	36.7	30.0	30.0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა			
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	549.8	502.0	508.6
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	527.8	442.0	478.6
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი			0.0
სანებართვო მოსაკრებელი	115.8	45.0	44.7
სახელმწიფო ბაჟი			
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.8	0.0	0.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	227.5	212.0	200.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	183.7	170.0	233.8



არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	22.0	60.0	30.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	22.0	60.0	30.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	400.2	500.0	350.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	99.5	90.0	67.0

მუხლი 7. ბორჯომის ბიუჯეტის ხარჯები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 10.572.2 თასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	7.758.4	8.884.1	487.4	8.396.7	10.572.2	453.8	10.118.4
შრომის ანაზღაურება	1.706.0	1.912.9	0.0	1.912.9	1.639.9	0.0	1.639.9
საქონელი და მომსახურება	2.649.7	2.989.6	487.4	2.502.2	2.226.6	1.0	2.225.6
პროცენტი	66.0	55.4	0.0	55.4	43.3	0.0	43.3
სუბსიდიები	1.886.1	2.633.7	0.0	2.633.7	3.993.9	0.0	3.993.9
სოციალური უზრუნველყოფა	1.385.1	1.161.7	0.0	1.161.7	998.2	0.0	998.2
სხვა ხარჯები	65.4	130.8	0.0	130.8	1.121.5	452.8	668.7

მუხლი 8. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ა) განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 5.818.1 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ბ) განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 5.910.2 ლარის ოდენობით;

გ) განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების კლება 92.1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

			2015
--	--	--	------



დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	122.0	156.1	92.1
ძირითადი აქტივები	0.0	66.7	30.0
არაწარმოებული აქტივები	122.0	89.3	62.1
მიწა	122.0	89.3	62.1

მუხლი 9. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 16.482.3 ლარით ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	40.0	2.563.4	0.0	2.563.4	2.632.4	0,0	2.632.4
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	29.3	545.2	98.0	447.3	459.8	0.0	459.8
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3.969.7	4.179.5	2.325.6	1.853.9	7.882.2	3.383.8	4.498.4
განათლება	0.0	1.009.0	0.0	1.009.0	1.340.8	0,0	1.340.8
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	813.7	2.334.1	501.5	1.832.6	2.594.6	427.8	2.166.8
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	-	1.358.4	0,0	1.358.4	1.241.8	0,0	1.241.8
სულ	4.852.7	14.301.3	3.412.4	10.888.9	16.482.3	3.811.6	12.670.8



მუხლი 10. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1.065.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -1.451.7 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 1.451.7 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -386.6 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 175.2 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 190.0 ათასი ლარი, მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 84.5 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 100.5 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5.0 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების 998.2 ათასი ლარის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ქ. ბორჯომში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები. პერსონალისათვის სათანადო წვრთნების ჩატარება და პროფესიული ღონის ამაღლება. არსებული რესურსების ფარგლებში კომუნალური პირობების გაუმჯობესება და პერსონალის სიცოცხლის დაზღვევა. შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა და სარეზერვო ძალების მობილიზება.

მოსახლეობის სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სამაშველო სამსახურის



ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად. აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება.

1.1 საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

ხანძრისა და სტიქიური უბედურების შემთხვევების დროს მოსახლეობისა და მათი ქონების დასაცავად ადგილზე დროული მისვლა და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა; საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელება.

1.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება. ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების მოასფალტება და განათება, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, სასამელი წყლის სისტემების და სახურავების რეაბილიტაცია, სოფლებში სასამელი წყლის სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების, ხიდების, ქუჩის ფეხით სავალი ნაწილების რეაბილიტაცია, ცენტრალური და შიდასაქალაქო გზების მოწესრიგება.

2.1.1 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი, მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდასაქალაქო გზების რეაბილიტაცია, განხორციელდება ქ. ბორჯომში შიგა ქუჩების, კერძოდ, შრომის, მერჩულეს, თორის, წმ. ნინოს, ხანძთელის, 300 არაგველის, რუსთაველის, აღმაშენებლის, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სანაპირო, სასაფლაოს და მოქცევის მისასვლელი გზის, სოფ. მზეთამზის, სოფ. სადგერის, დაბა ბაკურიანის, 9 აპრილის ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. მოეწყობა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები ქალაქის ტერიტორიაზე.

2.1.2 ფეხით სავალი ნაწილის მოპირკეთება. მოსაცდელების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამით განხორციელდება ბორჯომში კოსტავას, რუსთაველის, 9 აპრილის, რობაქიძის, გამსახურდიას ქუჩების, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სანაპიროს, კოსტავას მოედნის, სოფ. ტიმოთესუბნის ფეხით სავალი ნაწილის მოპირკეთება და მოაჯირების მოწყობა. რუსთაველის, მესხეთის, აღმაშენებლის და თორის ქუჩებზე განხორციელდება მოსაცდელების მშენებლობა, რაც განაპირობებს ქალაქის იერსახის სრულყოფას.

2.1.3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხიდების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 03)



ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხიდების აღდგენა, კერძოდ, განხორციელდება სილამაზის, მტრედის, რუსთაველის მოედნის მიმდებარე, ცოფიან ღელეზე, სოფელ ყვიზისის, ჩითახევის ახალი კიდული ხიდების, რეაბილიტაცია.

2.1.4 გარე-ვიდეოსამეთვალყურეო, სიჩქარის რადარების შეძენა-დამონტაჟება და სიჩქარის ბარიერების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 04)

ქვეპროგრამით განხორციელდება სიჩქარის ბარიერების მოწყობა ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით და დამონტაჟდება ვიდეოკამერები ქ. ბორჯომის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე.

2.1.5 ქუჩების გაწმენდა თოვლისა და ყინულის საფარისაგან (პროგრამული კოდი 03 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება და გაწმენდა, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, დასუფთავების ღონისძიებები, კანალიზაციის სისტემის მოწყობა, სანიაღვრე არხების მოწყობა-მოვლა, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, საკადასტრო რუკების მომზადება, მუნიციპალური და რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობის, ინფრასტრუქტურული პროექტების და ამხანაგობების თანადაფინანსება.

2.2. 1 წყალსადენებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (პროგრამის კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია, მოსახლეობის 24-საათიანი, სუფთა წყლით უზრუნველყოფა, ასევე, საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა. განხორციელდება წყალსადენისა და კანალიზაციის მოწყობა აღმაშენებლის, რუსთაველის, თორის, მესხეთის, რაზმაძის და ნიკოლაძის ქუჩებზე, სოფელებში: რველში, ყვიზისში, კორტანეთსა და ვარდგინეთში, დაბა ბაკურიანში.

2.2.3 საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის რემონტი და სოფ. ჭობისხევში ამბულატორიის ოთახის მოწყობა.

2.2.4 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი სახლების ბრტყელი და ქანობიანი სახურავების შეკეთება, ლიფტების, კომუნიკაციების, სადარბაზოების, ფასადების, კიბეების, თაღების, შენობების კაპიტალური გამაგრების, აივნების, მიწისქვეშა ავტოსადგომების, საერთო სარგებლობის ჭიშკრის ან სადარბაზოს კარების, მიშენებების მდგრადობის განსაზღვრის, სადარბაზოებში მოძრაობის სენსორული სანათების დამონტაჟების, შენობების კაპიტალური გამაგრების სამუშაოები. სამუშაოების, სადარბაზოებში შესასვლელის გაღების ვიდეო/აუდიოსისტემის დამონტაჟების სამუშაოები საცხოვრებელი სახლების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსებით. სახურავებისა და შენობების რეაბილიტაცია განხორციელდება გოგიას ციხის, ნიკოლაძის, დუმბაძის, გამსახურდიას,თორის ქუჩებზე.

2.2.5 საყრდენი კედლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყრდენი კედლების მოწყობა. კერძოდ: ბორჯომის მუნიციპალიტეტში რუსთაველის, ორბელიანის, ნიკოლაძის, ბესიკის, ერეკლეს ქუჩებზე საყრდენი კედლების რეაბილიტაცია, სოფელ ყვიზისში, სოფ კორტანეთში და დაბა წაღვერში გაბიონების მოწყობა.



2.2.6. ნარჩენების შეგროვება, გატანა, კეთილმოწყობის ობიექტების დასუფთავება, ნაგავმზიდი სპეც. მანქანის და სანაგვე ურნების შესყიდვა (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე, საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. ექსპლოატაციაში შევა ახალი ნაგავსაყრელი სრული დატვირთვით, რაც გააუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება. განხორციელდება არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განამენიანება, ასევე განხორციელდება არსებული სანიაღვრე და სარწყავი არხების ექსპლოატაცია, მოხდება მტკვრის კალაპოტის გაწმენდა. შეძენილი იქნება სანაგვე ურნები და კონტეინერები.

2.2.7. გარე განათების მოვლა-პატრონობა, გარე განათების ბოძების მონტაჟი, დეკორატიული განათებების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალაქის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდაკვარტალურ ეზოებში ახალი სანათი წერტილების მოწყობა, ახალ ქსელზე დაერთება, კერძოდ, განხორციელდება აკაკის, ხანძთელის ქუჩებზე, 9 აპრილის ქუჩიდან სანატორიუმ პლატომდე გარე განათების მოწყობა. განხორციელდება საახალწლო გარე-განათების დემონტაჟი.

2.2.8 სარიტუალო დარბაზების კეთილმოწყობა, ჭურჭლის შეძენა, სასაფლაოების და ეკლესიების შემოღობვა (03 02 08)

აღნიშნული პროგრამით განხორციელდება სოფ. ტაძრისში მდებარე სარიტუალო სახლის შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა .

2.2.9 სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 09)

ქვეპროგრამით განხორციელდება სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა, დაზიანებული შენობების გაწმენდა-რეაბილიტაცია. დაზარალებული მოსახლეობის დახმარება. ტყის მასივში გაჩენილი ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოები. განხორციელდება მესხეთის ქუჩაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული შენობის სახურავის რეაბილიტაცია. განხორციელდება დვირი-საკირის გზის რეაბილიტაცია.

2.3 ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოწყობა, მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, საგზაო ნიშნების, გადასასვლელებისა და ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

2.3.1 სანიაღვრე და სარწყავი არხების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში ახალი სანიაღვრეების მიერთება ცენტრალურ სისტემებთან. განხორციელდება სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია ნინოშვილის და ხანძთელის ქუჩის კვეთაზე, სოფლებში ჩითახევსა და ჭობისხევში.

2.3.2 სკვერების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა და მათი კეთილმოწყობა, მოწესრიგდება გამწვანების ზოლები. განხორციელდება სკვერების კეთილმოწყობა რუსთაველის, მესხეთის ქუჩებზე, მტრედის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე.



2.3.3 ატრაქციონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა(პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამით განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე სკვერებში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა. ქალაქის ტერიტორიაზე განხორციელდება სპორტული მოედნების მშენებლობა.

2.3.4. სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 04)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სასაფლაოს მოვლა-პატრონობას, ხეების მოჭრას, გადაბეღვას და დასუფთავებას.

2.3.5 სამშენებლო-სარემონტო, სახარჯთაღრიცხვო და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 03 03 05)

ქალაქში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით, შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოება. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

2.4. ვეტერინარული მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში და სამოვრებზე ვეტერინარული მომსახურება. ბიოლოგიური და ქიმიურ-ფარმაცევტული საშუალებებით ცხოველთა დაავადებების პროფილაქტიკა და დიაგნოსტიკა. სამოვრებზე მიეწოდებიან ვეტერინარი სპეციალისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოველებისათვის საშიში გადამდები სნეულებების კერების ლოკალიზებას.

2.5 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებისთვის პრიორიტეტული სოციალ-ეკონომიკური პროექტები. აღნიშნულ სამუშაოებში ჩართული იქნება სოფლის მოსახლეობა. პროგრამით გათვალისწინებული თანხა წარიმართება სოფლის პირველი რიგის სოციალ-ეკონომიკური საჭიროებათა დასაფინანსებლად.

2.6 ტრანსპორტის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 03 06)

კვლავ აქტუალური რჩება შიდასაქალაქო ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდასაქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის სუბსიდირების გზით.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. მოხდება საჯარო სკოლების დაფინანსება სპორტული დარბაზებისა და კაბინეტის მოსაწყობად (ქ. ბორჯომის №1 საჯარო სკოლა, დაბა ახალდაბისა და ბაკურიანის საჯარო სკოლები).

3.1 ააიპ „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“ (პროგრამული კოდი 04 01)

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 11 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს



450 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს, ინვენტარისა და ავეჯის შეძენა. დაბა ბაკურიანში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი, სადაც ირიცხება 110 ბავშვი, ასევე ყველა ხარჯი ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. განხორციელდება ბაღების რეაბილიტაცია, კერძოდ, ბორჯომში მე-4, სოფელ ყვიზისში, დაბა ახალდაბაში საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია.

3.2. საჯარო სკოლების ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯები და ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხდება საჯარო სკოლების რეაბილიტაცია.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

4. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისა და წახალისების მიზნით.

4.1.1 ააიპ „ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო გაერთიანება“ (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო გაერთიანების“ 410-მდე სპორტსმენის დაფინანსებას, გაერთიანება მოიცავს სპორტის 15 სახეობას და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას. უზრუნველყოფს სპორტსმენთა სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობას.

4.1.2. სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ტურნირები კალათბურთში, ფრენბურთში სკოლის მოსწავლეთა შორის, მხიარული სტარტები და მინიფეხბურთი მოსწავლეთა შორის, რესპუბლიკური ტურნირები ძიუდოში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მოხდება წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება-წახალისება მიღწეული შედეგებისათვის. 2014 წელს განხორციელდება შემდეგი სპორტული ღონისძიებები:

- ვაჟთა ტურნირი კალათბურთში სკოლის მოსწავლეთა შორის;
- ტურნირი ფრენბურთში (გოგონები და ვაჟები);
- ფრენბურთის ტურნირი გოგონებს შორის;
- მინიფეხბურთი;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის მინიფეხბურთის საზაფხულო ტურნირი მოყვარულთა შორის;
- ფრენბურთის ტურნირი (წარმოება დაწესებულებებს შორის);
- კალათბურთი (უბნების ჩემპიონატი მოყვარულთა შორის);
- ჭადრაკის ტურნირი;
- ქართული ჭიდაობა (სკოლების პირველობა).

განხორციელდება ბორჯომის საფეხბურთო კლუბის „ბორჯომი-2013“-ის დაფინანსება. საფეხბურთო



4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1 სამუსიკო სკოლა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 238 მოსწავლე. ასევე ფინანსდება მუსიკალურ სკოლასთან არსებული ანსამბლი „ბორჯომი - 2012“. პროგრამის მიზანია მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამუსიკო განათლება და აზიაროს მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს.

4.2.2 საბიბლიოთეკო გაერთიანება (ქვეპროგრამის კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება“, სადაც ხდება ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება, დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა, ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით. ასევე მოხდება საბიბლიოთეკო გაერთიანების ახალი შენობის რეაბილიტაცია.

4.2.3 კულტურისა და ხელოვნების ცენტრი (ქვეპროგრამის კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ააიპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა, თეატრის აღორძინება, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა, სამუსიკო და ქორეოგრაფიული ნიმუშების შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა.

4.2.4 თოჯინების თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 04)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ “ბორჯომის თოჯინების თეატრი”, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა ღონისძიებების გამართვას, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას ქალაქის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. სსიპ – თოჯინების თეატრის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: მხატვრული აღზრდის პროპაგანდა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება, სასცენო ხელოვნების განმტკიცება, ტრადიციების აღორძინება და განვითარება, ზოგადსაკაცობრიო იდეალების, ბავშვებში ზნეობრივი და სულიერი სამყაროს გამდიდრება და პატრიოტული სულისკვეთების განმტკიცება. 2015 წელს თეატრი გეგმავს ოთხი ახალი სპექტაკლის დადგმას:

- „სამყაროს დაბადება“ – საბავშვო ბიბლიის მოტივებზე.
- „ადამიანი ობობა“ – კოპროდუქცია.
- „მძინარე მზეთუნახავი“ – დისნეის პროექტი.
- „წიქარა“ – ქართული ხალხური ზღაპარი.

4.2.5 კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობა:

1. ბაკურიანობა.
2. ინტელექტუალური თამაში „ცხრაწყარო 2015“.



3. ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავისადმი აღსანიშნავი ზეიმი.

4. დამოუკიდებლობის დღე –26 მაისი.

5. მუსიკის შემსრულებელთა პირველი ეროვნული კონკურსი.

6. გიორგი ათონელის ხსენების დღე.

7. ბორჯომობა – 2015.

8. ტიმოთისუბნის ტაძრის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

9. აფხაზეთის დღე.

10. მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

11. წინასაშობაო ღონისძიება.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობა, რომელიც მიზნად ისახავს არამატერიალური კულტურის ცენტრად აღიარებული უნიკალური ქართული სიმღერის გადარჩენას, შენახვას, პოპულარიზაციას და მომავალი თაობებისთვის გადაცემას, ასევე დაფინანსდება ეტალონში გამარჯვებული ბავშვი ყოველთვიური სტიპენდიით.

4.2.6 ბორჯომის ცენტრალური ისტორიული პარკის მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამით განხორციელდება ა (ა) იპ „ბორჯომის ცენტრალური პარკის“ დაფინანსება, ბორჯომის ცენტრალური პარკის მოვლა-პატრონობა და იერსახის შენარჩუნება. განხორციელდება ტურნიკეტების შეძენა, რომელიც განთავსდება პარკის ტერიტორიაზე არსებულ ატრაქციონებთან.

4.3. ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქია (პროგრამული კოდი 05 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველობის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

4.4 საინფორმაციო მომსახურება (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამით განხორციელდება განცხადებებისა და ინფორმაციის გამოქვეყნება პრესაში, ტელევიზიასა და ინტერნეტპორტალებში, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას. დაფინანსდება სატელევიზიო გადაცემა „ეტალონი“.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:



- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით ბორჯომის მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

5.1.1 ჯანდაცვის ცენტრი (პროგრამული კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ზედამხედველობის სისტემით მიღებული მონაცემების რეგისტრაცია, შეფასება, დაზუსტება, სტატისტიკური ანგარიშგება და გადაცემა დადგენილი წესის მიხედვით, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა-ანგარიშგება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებებზე ინფორმაციის დამუშავება და მათი პრევენცია. იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა, დადგენა, პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა, საგანმანათლებლო სააღმზრდელო მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების ზედამხედველობა. ქვეპროგრამის განხორციელებისას მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდება ლექციურად, ბეჭდურად, რომელსაც მოზარდები თვითონაც განახორციელებენ, აქტიურად ჩაებმებიან უსაფრთხო ქცევების პოპულარიზაციის ხელშეწყობ ღონისძიებებში, სპორტულ აქტივობებში, ტრენინგებში.

2015 წელს განხორციელდება სტრატეგიული მუნიციპალური პროგრამა – სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჰელმინთებით ინვაზიების პროფილაქტიკისა და მკურნალობის ხელშეწყობის ადგილობრივი მუნიციპალური პროგრამა.

პროგრამის ბენეფიციარი იქნება ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 3-დან 6-მდე წლის ასაკის ჩათვლით 500-მდე მოზარდი, რომლებსაც ანტიჰელმინთური პრეპარატის პროფილაქტიკური და სამკურნალო დოზის გაცემის წინ ასევე ჩაუტარდებათ უფასო სამედიცინო მარტივი გამოკვლევა გამჭვირვალე პოლიეთილენის მწებავი ლენტით, გამოკვლევა მოხდება ორგანიზებულად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. პროგრამის ფარგლებში, ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში იწარმოებს პოლიეთილენის გამჭვირვალე მწებავი ლენტით იატაკის, კარის სახელურების, სათამაშო ინვენტარის გამოკვლევა ენტერობიოზის კვერცხებზე.

ინვაზიების შემთხვევაში დაავადებულ ბავშვზე გაიცემა ანტიჰელმინთური მედიკამენტის სამკურნალო დოზა, ხოლო ოჯახის წევრებზე და კონტაქტირებულებზე პროფილაქტიკური დოზები.

5.1.2 დერატიზაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მღრღნელების და ინფექციის გადამტანი ცხოველების ლიკვიდაცია. ნაგვის ბუნკერების, ნაგვის შემკრები კონტეინერების, ნაგავსაყრელზე სადეზინფექციო, დერატიზაციის და დეზინსექციის სამუშაოების ჩატარება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება; ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.

5.2 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

